პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 160
(7220)
19
1982 წ.
აგვისტო,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

● საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

ჩინებულია!

სასიხარულო ცნობა მოვიდა რუმინეთიდან, სადაც ქ. გერკულანის ტრადიციულ საჭადრაკო ფესტივალში საქართველოს წარგზავნილებიც — ოსტატი თ. ხუგაშვილი და ოსტატობის კანდიდატი ქ. არახამია მონაწილეობდნენ.

ნორჩმა თბილისელმა მოჭადრაკემ ქეთევან არახამიამ გაიმარჯვა გოგონათა საერთაშორისო ტურნირში. მან ევროპის ქვეყნების 11 უძლიერეს მოჭადრაკესთან ბრძოლაში 8,5 ქულა მოაგროვა.

შესანიშნავად იბრძოლა თამარ ხუგაშვილმაც. ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მან 7 ქულით I-II ადგილები გაიყო რუმინელ საერთაშორისო ოსტატ დ. ნუცუსთან.

● ჭადრაკი

6 ტურის შემდეგ

ტოლუკას (მექსიკა) ვაჟთა საზონათშორისო ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიები.

ი. სეირავანმა მოუგო ა. ადორიანს და დაუზავდა ს. რუბინეტის. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე ა. როდრიგესი — ა. იუსუპოვი.

6 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ჯ. ნანი (ინგლისი), ი. სეირავანი (აშშ), ი. ივანოვი (კანადა) — 4-4 ქულა, ბ. სპასკი, ი. ბალაშოვი, ა. ადორიანი, ლ. პორტიში (ორივე — უნგრეთი) — 3,5-3,5, ა. იუსუპოვი, ე. ტორე (ფილიპინები) — 3-3, ლ. პოლუგაევსკი, ქ. ჰულაკი (იუგოსლავია), ს. რუბინეტი (არგენტინა) — 2,5-2,5, ა. როდრიგესი (კუბა) — 2, ბ. ქუათლი (ლიბანი) — 0,5.

საკავშირო ნახევარფინალებზე

მოგილიოვი

ქალთა 42-ე ჩემპიონატის ნახევარფინალზე XIV ტურის წინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. აი, მისი შედეგები: მინოგინამ მოუგო პინჩუკს, კისიგიმ — ხოროვეცს. დაზავდნენ ტიტორენკო — გოლუბევა.

XIV ტურში მესხი დამარცხდა მინოგინასთან. ლევიტინამ სძლია ალაბაბიანს, ლელჩუკმა — პინჩუკს, ზაგორსკაიამ — კისიგს და დუბილევსკაიამ — ახმარუმოვას. ყაიმზე შეთანხმდნენ ხასანოვა — ტიტორენკო, სოხატოვა — კულიკოვა და გოლუბევა — ხოროვეცი.

14 ტურის შემდეგ ლ. კულიკოვას (უკრაინა) 9,5 ქულა აქვს, ა. ახმარუმოვას (მოსკოვი) — 9, თ. მესხს — 8,5, ი. ლევიტინას (ლენინგრადი), ზ. ლელჩუკს (ლვოვი) — 8-8.

სათამაშო დარჩა დასკვნითი XV ტური, რომელშიც მესხის მეტოქეა ლელჩუკი.

თ. ხარლამიდი.
(„ლელოს" სპეც. კორ.)

პავლოდარი

მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ნახევარფინალში დამთავრდა 14 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები.

გ. გიორგაძემ დაამარცხა ლ. იურტაევი, გ. აგზამოვმა — გ. ტიმოშჩენკო, ა. შნეიდერმა — აგზამოვი. ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. რაშკოვსკი — ს. ლპუტიანი, ა. ერმოლინსკი — ო. ძიუბანი და იურტაევი — ბ. იტკისი.

XV ტურში ზ. აზმაიფარაშვილი დამარცხდა დიდოსტატ ა. კოჩიევთან. ლპუტიანმა მოუგო გიორგაძეს და ძიუბანმა — იურტაევს. დაზავდნენ ზ. სტურუა — შნეიდერი, ბ. გულკო — ერმოლინსკი და ა. კუზმინი — ბ. ასანოვი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

15 ტურის შემდეგ ს. ლპუტიანს (ერევანი) 10 ქულა აქვს, ზ. აზმაიფარაშვილს — 9,5, ა. შნეიდერს (ლვოვი), ა. ერმოლინსკის (ლენინგრადი) — 9-9, რ. ხოლმოვს (მოსკოვი) — 8,5 (1), ნ. რაშკოვსკის (ალმა-ათა) — 8 (2).

გ. გიორგაძეს 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ზ. სტურუას — 6 (1).

გ. ხომერიკი.
(„ლელოს" სპეც. კორ.).

всесоюзного турнира кожаный мяч
КМ
финал тбилиси-82

„ტყავის ბურთის"
ფინალური გათამაშება

●



ფინიშის სწორზე

ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი „ტყავის ბურთის" პრიზზე გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სანუკვარი თასისთვის 24 მებრძოლ კოლექტივიდან მხოლოდ 4 დარჩა — საქართველო (რუსთავის „იმედი"), სომხეთი (ოქტემბერიანის რაიონის „მრგაშატი"), ლიტვა (პანევეჟისის „ეგლე") და თბილისი (გლდანის რაიონის „მართვე").

ეს „შესანიშნავი ოთხეული" (სომხეთი — ლიტვა და თბილისი — საქართველო) ხვალ საღამოს (შესაბამისად, 18 და 19 საათზე) თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩაატარებს ორ ნახევარფინალურ მატჩს, რომლებიც გამოარკვევენ ფინალისტებს — 22 აგვისტოს თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის — „დინამოს" სტადიონზე გადამწყვეტ მატჩში მოასპარეზე წყვილს.

დანარჩენი გუნდები — ქვეჯგუფებში შესაბამის ადგილებზე გასული კოლექტივები — „ლოკომოტივის", გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის, „ოქროყანისა" და სპორტკლუბ „ივერიის" სტადიონებზე მე-3 — 24-ე ადგილებს გაითამაშებენ.

თუ საქართველოსა და სომხეთის ნორჩმა ფეხბურთელებმა ნახევარფინალის საგზურები ვადაზე ადრე, ერთი ტურით ადრე გაინაღდეს, I და IV ქვეჯგუფში გამარჯვებულნი მხოლოდ გუშინდელმა შეხვედრებმა გამოავლინა. I ქვეჯგუფში 7-7 ქულა ჰქონდათ ესტონელ და თბილისელ ფეხბურთელებს. ამიტომ მათ მატჩებს შესაბამისად ლენინგრადისა და რსფსრ-1 გუნდებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ესტონელებმა დამარცხება განიცადეს ანგარიშით 0:1, ხოლო თბილისელებმა მოიგეს 4:0. ამრიგად ნახევარფინალში მასპინძლები გავიდნენ.

თამაშის ბედი თბილისელებმა უკვე პირველ ტაიმში გადაწყვიტეს: გოჩა ჩიბაშვილმა, ანდრეი ქოურჯიევმა და ბადრი ყავრელაშვილმა სამჯერ გაგზავნეს ბურთი მეტოქის კარში — 3:0. შესვენების შემდეგ კი კობა მელაძემ მეოთხედ შეარხია სტუმრების კარის ბადე. რაც შეეხება მეტოქეს, „ოგონიოკის" ფეხბურთელები „მართვეს" საჯარიმო მოედანზეც კი ვერ აღწევდნენ.

ესტონელების დამარცხება ლენინგრადის „დრუჟბასთან" ყველასათვის მოულოდნელი იყო. საქმე ისაა, რომ ბალტიისპირელები ამ ტურნირში კარგად თამაშობდნენ და გუშინდელ მატჩში მოგების (ამასთან დიდი ანგარიშით) შემთხვევაში შეეძლოთ ნახევარფინალში გასვლა.

გუშინვე საქართველოს გუნდმა (რუსთავის „იმედი"), რომელსაც განაღდებული ჰქონდა ნახევარფინალის საგზური, ტურნირის რეკორდი დაამყარა — დიდი ანგარიშით 18:0 დაამარცხა ტაჯიკეთის (აბადის კოლმეურნეობის გუნდი „ზარია") ფეხბურთელები. აღსანიშნავია, რომ „ტყავის ბურთის" ფინალური ტურნირის ბომბარდირმა გოჩა ჯამარაულმა ამ დღეს მეტოქის კარში 10 გოლი გაიტანა.

აი, გუშინ გამართულ დანარჩენ შეხვედრათა შედეგები:
ყაზახეთი — მოლდავეთი — 2:2,
თურქმენეთი — რსფსრ-V — 3:0,
უკრაინა-I — რსფსრ-II — 1:4,
ყირგიზეთი — სომხეთი — 1:2,
ლატვია — ბელორუსია — 1:2,
რსფსრ-III — მოსკოვი — 0:2,
უკრაინა — ლიტვა — 0:4, რსფსრ-IV — აზერბაიჯანი — 0:4.

დღეს ნორჩი ფეხბურთელები ისვენებენ. თავიანთ შეფებთან ერთად ისინი ეწვევიან თბილისის ახლომახლო რაიონების ღირსშესანიშნაობებს.

თ. ნოზაძე.

* * *

სურათებზე: თბილისისა და ყაზახეთის გუნდების შეხვედრის მომენტი; „ივერიის" სტადიონზე ელექტროტაბლოს ნორჩები ემსახურებოდნენ.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ЭГЛЭ
ЛИТОВСКАЯ ССР
ОЛИМПИЯ
УЗБ. ССР
3
1

უხვი ნადავლი

ჰავანა. ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების XVI თამაშების დაწყებამდე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მედლების რაოდენობით I ადგილზე კუბელი სპორტსმენები გავიდოდნენ. და მართლაც, ამ ქვეყნის ათლეტებმა გათამაშებული მედლების ნახევარზე მეტი დაისაკუთრეს.

შთამბეჭდავი იყო კუბელი ძალოსნების ასპარეზობა. მათ მოიპოვეს ყველა 30 ოქროს მედალი. ცნობილია, რომ ძალოსნობა თავისუფლების კუნძულზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ოთხი წლის წინათ კოლუმბიაში მათ 29 ოქროს ჯილდო მოიპოვეს. წლევანდელ ტურნირში კუბელმა ძალოსნებმა თამაშების 43 რეკორდი დაამყარეს.

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა 17 წლის პ. ერნანდესმა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში — 2:24,47. საქმე ის არის, რომ ეს თავისუფლების კუნძულის სპორტსმენთა პირველი ოქროს მედალია ცურვაში თამაშებში მათი მონაწილეობის ისტორიაში.

165,6 კილომეტრზე ინდივიდუალურ ველორბოლაში გაიმარჯვა კუბელმა ა. კინტერომ, მან 2 წამით გაუსწრო ვერცხლის პრიზიორს ე. კამპოსს (ვენესუელა). არადა, როცა ფინიშამდე სულ 12 კილომეტრი იყო დარჩენილი, კინტერო 3 წუთს აგებდა მეტოქესთან.

კუბელ ველოსიპედისტთა წარმატებაში სპეციალისტების აზრით დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა მწვრთნელს ფ. ტარაკანოვს, რომელიც წლების განმავლობაში კუბის ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა მთავარი კონსულტანტია.

კალათბურთელთა ტურნირში გამარჯვებისთვის ოქროს მედლები გადაეცათ პუერტო-რიკოს ვაჟთა და ქალთა გუნდებს, უმაღლესი ღირსების ჯილდოები დაიმსახურეს ვენესუელის ფეხბურთელებმა, ოქროს ჯილდოების ორივე კომპლექტი ფრენბურთში, როგორც მოსალოდნელი იყო, კუბელ სპორტსმენებს ხვდათ. ასეთივე ღირსების მედლები მოიპოვეს კოსტარიკისა და იამაიკის მოცურავეებმა, ვირგინიის კუნძულების იახტსმენებმა... (საკდესი).

ლაპარაკობენ სტუმრები და მასპინძლები

მევლუდ ლაშაური,

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე:

— **ჩვენმა** ქარხანამ შეფობა რსფსრ — IV (ნოვოკუზნეცკის „კოსმოსი") გუნდზე აიღო. ამ ერთი კვირის განმავლობაში, რაც ფინალური შეჯიბრებები მიმდინარეობს, ნორჩ ფეხბურთელებთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა დავამყარეთ. სტუმრებს დავათვალიერებინეთ თბილისი — მისი ახალმშენებები, ფუნიკულიორი, ქალაქის ძველი უბნები, მეტეხის ციხე-სიმაგრე და სხვა. პატარები გვესტუმრნენ ქარხანაშიც, სადაც გაეცნენ საამქროების მუშაობას, კომკავშირის კომიტეტში მათთვის საინტერესო შეხვედრა მოეწყო. მერე ყველა ერთად კოლექტიურად დავესწარით თბილისის „დინამოს" მატჩებს.

ტურნირის დარჩენილ დღეებში დაგეგმილი გვაქვს ექსკურსიები მცხეთაში, ხელოვნებისა და კომკავშირის მუზეუმებში. თუმცა ჩვენი საშეფო გუნდი ვერ აგრძელებს ბრძოლას პრიზისათვის, მაგრამ ათეულში მოხვედრის იმედი აქვს.

არშავირ პეტროსიანი,

სომხეთის გუნდის მწვრთნელი:

— **სასიხარულოა,** რომ ჩვენც გავინაღდეთ ნახევარფინალის საგზური, მითუმეტეს, რომ ჩვენს ქვეჯგუფში არ იყვნენ სუსტი მეტოქეები. ისე კი უნდა გითხრათ, რომ მოულოდნელობასაც წავაწყდით: უკრაინის პირველი გუნდი შედარებით სუსტი გვეგონა, მაგრამ ყველაზე ძალიან სწორედ მასთან გაგვიჭირდა — ძლივს მოვიგეთ 1:0. პირიქით მოხდა რსფსრ-II გუნდთან შეხვედრისას. მას ჩვენს ჯგუფში ფავორიტად ვთვლიდით, მაგრამ შედარებით იოლად დავამარცხეთ 3:0. პირადად მე სხვებზე უფრო რუსთავის „იმედი" მომწონს. ვფიქრობ, რომ იგი მთავარი პრიზის მოპოვების ყველაზე რეალური პრეტენდენტია.

თამაზ დოდაშვილი,

რუსთავის „იმედის" მწვრთნელი:

— **ჩვენც** ერთი ტურით ადრე მოვიპოვეთ ნახევარფინალში გამოსვლის უფლება. გუნდის თამაშით ძირითადად კმაყოფილი ვარ. ყველა კარგად იბრძვის, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გოჩა ჯამარაულმა, მამუკა მერჯიყნელმა, თენგიზ ნათენაძემ. არ ვიცი, ვინ გაიმარჯვებს ტურნირში, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ყველა კოლექტივი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენი მიზანი საპატიო პრიზის მოპოვებაა. მე მჯერა ჩვენი ბიჭებისა...



„დავით აღმაშენებელზე“ — ახალი მარშრუტით

შვიდი წლის წინათ, როცა მთამსვლელთა საკავშირო ჩემპიონატის შედეგები შეჯამდა, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა ანდრეი სნესარევმა საქდესის კორესპონდენტს უთხრა: „ბებერი, გულკეთილი“ კავკასიონის ყველა საინტერესო მარშრუტი გავლილია, დღეს კი მედლების მოსაპოვებლად აუცილებელია მწვერვალებზე ორიგინალური, რთული გზებით ასვლაო.

მომდევნო წელს ძალაში შევიდა მთამსვლელობის ახალი, კლდოვანი კლასი. მაშინ შოთა მარიანაშვილმა (ექსპედიციის ხელმძღვანელი), დიმიტრი დანგაძემ (ასვლის ხელმძღვანელი), აგი აბაშიძემ, ოთარ ხაზარაძემ, შაქრო გაბისიანმა და სერგო ბარლიანმა კავკასიონზე ჰაუხებს მიაშურეს...

ოფიციალურად აღიარებულია, რომ ჰაუხები პირველად ინგლისელმა მთამსვლელმა ქალმა იულია კამერონმა და მისმა მეგზურმა, მოხევე ნიკო ქირიკაშვილმა დალაშქრეს. ისინი ჰაუხების ერთ-ერთ მწვერვალზე ავიდნენ. კამერონმა იქ თავისი სადარბაზო ბარათი დატოვა, რომელიც 1952 წელს ალექსი ივანიშვილის ჯგუფმა ჩამოიტანა. მერე ჰაუხები თანდათან დაივიწყეს.

1977 წელს, როცა კლდოვანი კლასიც შეიტანეს მთამსვლელთა საკავშირო ჩემპიონატების პროგრამაში და მარიანაშვილის ჯგუფმა ჰაუხებს მიაშურა, ამ ამბავმა ბევრი გააოცა — აქი ამტკიცებდნენ, კავკასიონზე რთული მარშრუტები ამოწურულიაო. მაგრამ ჩვენმა მთამსვლელებმა მაშინ ჰაუხების სრული ტრავერსი გააკეთეს და ჩემპიონატში ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

ჰაუხების მწვერვალების უმეტესობა უსახელო იყო და მარიანაშვილის ჯგუფმა მათ სხვადასხვა სახელები დაანათლა, ერთ-ერთ მათგანს „დავით აღმაშენებელი“ უწოდა.

წლეულს „დავით აღმაშენებელს“ ქართველ მთამსვლელთა მეორე ჯგუფი ესტუმრა გივი ქართველიშვილის (ექსპედიციის ხელმძღვანელი) მეთაურობით. მოიერიშე ჯგუფის წევრებმა ტარიელ ლუკაშვილმა, მურად ჰეჭიანაძემ, ირაკლი გელდიაშვილმა, დევი თარხნიშვილმა, ჯემალ ქელეხსაშვილმა და თამაზ შარაშენიძემ მწვერვალის ჩრდილოეთის კედელს შეუტიეს.

— რამ განაპირობა ამ მარშრუტის არჩევა? — ვეკითხებით ლუკაშვილს.

— მოგეხსენებათ, კლდოვან კლასში მწვერვალთა სიმაღლე 3000-დან 4250 მეტრის ფარგლებში უნდა იყოს. ჰაუხების მასივი ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. „დავით აღმაშენებლის“ ჩრდილოეთი კედელი კი ამ მასივზე ურთულესია. ის გუნდი, რომელიც ამ კედლის გავლით ავიდოდა მწვერვალზე, ჩვენი ვარაუდით, ჩემპიონატის ფავორიტი იქნებოდა. ჩვენს გუნდს ახლდა საკავშირო სპორტკომიტეტის მთამსვლელობის განყოფილების უფროსის მოადგილე, ჩემპიონატის მსაჯი იური ემელიანენკო. როცა მან „ჩვენი“ კედელი ნახა, გაოცება ვერ დაფარა. თქვა, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამ რაიონში ასეთი ძნელად დასაძლევი კედელი იქნებოდაო. როცა ამ კედლის გავლით მწვერვალზე ავედით, ემელიანენკომაც დაგვაიმედა, ჩემპიონატში უდავოდ მედლებს მოიპოვებთო. ამბობენ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, ჩვენც დაველოდოთ შემოდგომას. სწორედ მაშინ გაირკვევა ჩემპიონატში გამარჯვებული და პრიზიორი გუნდების ვინაობა.

— როგორი სირთულით ხასიათდება თქვენს მიერ გავლილი მარშრუტი?

— მარშრუტი პირობითად 3 ნაწილად დავყავით. პირველი კლდოვანი ბასტიონი 200 მეტრამდე სიმაღლისაა. ეს მონაკვეთი მთლად ფრიალოა. საშუალო დახრილობა 85-90 გრადუსს აღწევს. ამავე მონაკვეთზე შეგვხვდა უარყოფითი დახრილობის მონაკვეთებიც, რომლებიც საერთო ჯამში 40-მეტრამდე აღწევდა. მეორე მონაკვეთიც 200 მეტრამდე სიმაღლისაა. აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კლდოვანი კუნძულები გვხვდებოდა. შვეულ კედელს ერთგვარი გავაკება, დაახლოებით 65 გრადუსამდე დახრილობის ფერდობი ცვლიდა. მესამე მონაკვეთი, მწვერვალისწინა ბასტიონი 200-250 მეტრი სიმაღლის ფრიალო კლდე იყო. ყველაზე ძნელად დასაძლევი პირველი ბასტიონი გახლდათ, ყველაზე იოლი — მეორე. ასვლისას პალოების დიდი არჩევანი გვქონდა, მაგრამ ყველაზე თხელ პალოებს ვიყენებდით, რადგან კლდეებზე ძალზე ცოტა ნაპრალები იყო. ღამეს ორნი ჰამაკებში ატარებდნენ, დანარჩენები — ნახევრად მჯდომარენი. მთელ მარშრუტზე ჯგუფის წევრებმა ერთად ვერადა ვერ მოიყარეს თავი. ესეც მარშრუტის სირთულეზე მეტყველებს. ისიც საგულისხმოა, რომ კედელს მზე მხოლოდ დილა-საღამოს ადგებოდა, მწვერვალიდან ნაჟური წყალი კი მთლად ასველებდა კედელს და კიდევ უფრო ართულებდა სავალს.

— თქვენმა გუნდმა შარშან, კავკასიონზე, მწვერვალ კიუკიურტლიუზე ვერცხლის მედლები მოიპოვა, ხოლო 1979 წელს პამირში, ტა[illegible] უნივერსიტეტის სახელობის მწვერვალზე — ოქრო. როგორი განსხვავებაა ამ მწვერვალებსა და „დავით აღმაშენებელზე“ თქვენს მიერ გავლილ მარშრუტებს შორის?

— „დავით აღმაშენებელს“ ვერც ერთს ვერ შევადარებ. მისი ბასტიონები გაცილებით მოკლე იყო, მაგრამ დასაძლევად — ძალზე ძნელი. ამ მარშრუტის გასავლელად მეკლდეურობის ელემენტების გამოყენებაა საჭირო. ამიტომ ყველაზე რთულ მონაკვეთებზე წინ გელდიაშვილი მიდიოდა, რომელიც ჩვენს შორის საუკეთესო მეკლდეურია.

— დღეში რამდენ საათს მუშაობდით, რამდენი დღე დაგჭირდათ მწვერვალზე ასასვლელად?

— მწვერვალზე სამ დღეში ავედით. დღეში 12 საათს ვმუშაობდით.

— რამ განაპირობა ასეთი სისწრაფე?

— როცა ჰაუხებში ავედით, ძალზე ცუდი ამინდები დაიჭირა. დღედაღამ გადაუღებლად წვიმდა, ზემოთ კი თოვდა. გამოდარებას ვუცდიდით, არადა, ასვლის ვადა იწურებოდა. როცა ჩვენს განკარგულებაში 5 დღეღა დარჩა, გამოიდარა და უმალ იერიში დავიწყეთ. ამინდის გაფუჭებას ვშიშობდით და ამიტომ ვჩქარობდით. მოძრაობა რომ გაგვეადვილებინა, ბარგი საკვების ხარჯზე შევამცირეთ.

— თქვენს მოიერიშე ჯგუფში პირველად გამოჩნდა თამაზ შარაშენიძე. რას გვეტყოდით მასზე?

— თამაზი სპორტის ოსტატობის კანდიდატია. შარშან ვფიქრობდით ძირითად ჯგუფში მის შეყვანას, მაგრამ ცოტა ნაადრევად ჩავთვალეთ. ახლა მან ჩვენი იმედები გაამართლა. თამაზი გუნდს კარგად შეერწყა და ვფიქრობთ, რომ მისგან კარგი მთამსვლელი დადგება.

— მთამსვლელობაში უკვე მოქმედებს ასაკობრივი შეზღუდვა. 40 წელს მიღწეული მთამსვლელები საკავშირო ჩემპიონატში აღარ დაიშვებიან. თქვენ ამ ასაკს უკვე აბიჯებთ და ეს ასვლა უკვე ბოლო საკონკურსო ასვლა იყო. ალბათ ძალიან გეძნელებათ აქტიურ ალპინიზმთან გამოთხოვება.

— ბედმა გამიღიმა — საკავშირო ნაკრებში ჩამრიცხეს, ამ გუნდის წევრებზე კი ასაკობრივი შეზღუდვა არ ვრცელდება.

• • •

გივი ქართველიშვილის გუნდს წლევანდელი სეზონი ამით არ დაუსრულებია. სხვა ქართველ მთამსვლელებთან ერთად იმყოფება პამირში, სადაც სასიმაღლო ალპინიზმში იმაღლებს ოსტატობას.

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: მწვერვალი „დავით აღმაშენებელი“ (პუნქტირით ნაჩვენებია ასვლის მარშრუტი).

ავტორის ფოტო.

სადისკუსიო კლუბი

ფიზკულტურული კომპლექსის სრულყოფისთვის

საბჭოთა კავშირში გრანდიოზული მუშაობა მიმდინარეობს, რათა ფიზკულტურული მოძრაობა საერთო-სახალხო მოძრაობაში გადაიზარდოს, ამის შედეგად კი მნიშვნელოვნად ამაღლდეს მოსახლეობის ფიზიკური მომზადებულობის დონე და პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევის შესაძლებლობა.

მასობრიობა, პირველ ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს მშთ კომპლექსმა, რომელიც ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის საფუძველია.

მშთ კომპლექსმა შემოწმების ხანგრძლივი გზა გაიარა. იყო დრო, როცა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ პერიოდში კომპლექსისადმი ყურადღება შენელდა. ბევრ მწვრთნელს შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს მათი აღზრდილი სპორტსმენები მაღალ შედეგებს აღწევენ მხოლოდ სპეციალური და არა ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების შედეგად. დაივიწყეს, რომ კომპლექსი, პირველ ყოვლისა, მოწოდებულია გადაწყვიტოს სოციალური ამოცანა — მოამზადოს ხალხი შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის და ზედმეტად ჩათვალეს მისი დანერგვისთვის ზრუნვა. თვით სპორტკომიტეტებშიც შეანელეს კომპლექსისადმი ყურადღება. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1972 წლის 17 იანვარს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის“ (მშთ) შემოღების შესახებ“. ეს დადგენილება გახდა ახალი ეტაპი კომპლექსის განვითარებაში.

ამჟამად მოქმედი მშთ კომპლექსი თავისი მიზნით, ამოცანებით და მიმართულებით ერთიანია მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ჩვენი აზრით, მისი შინაარსი მთლიანად არ შეესაბამება მომეცადინეთა ცხოვრების როგორც კლიმატურ-გეოგრაფიულ, ეთნიკურ, ისე სპორტულ თუ შრომით ტრადიციებს. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ რეგიონში გავრცელებული ფიზიკური ვარჯიშები და მოძრავი თამაშები მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან. სწორედ ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა იწვევს ხშირად არასასიამოვნო აზრებს მშთ კომპლექსის ქმედითუნარიანობის თაობაზე. რასაკვირველია, როდესაც ამ საკითხზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, ინსტრუქტორ-მეთოდისტი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს ადგილზე გავრცელებულ ტრადიციებს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს. როცა სკოლაში (უფრო ხშირად სოფლად) ტარდება მეცადინეობა ხალხური საშუალებების გამოყენებით ამას ყოველთვის დადებითი შედეგი მოაქვს.

დღეს მოქმედ მშთ კომპლექსს სწორედ ეს ნაკლი აქვს. იგი არ ითვალისწინებს ადგილობრივ სპორტულ ტრადიციებს. ყოველივე ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება სოფლის ახალგაზრდობას და მათ ადგილზე დამაგრებას. ვფიქრობთ მიზანშეწონილი არ არის ერთი და იგივე მოთხოვნები წაუყენო სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას, მთასა და ბარში მცხოვრებთ.

ცხოვრება ადამიანს უძველესი დროიდან აქტიური მოქმედებისკენ მოუწოდებდა, ამასთან, ისეთი მოქმედებისაკენ, რომელსაც ცხოვრების კონკრეტული პირობები მოითხოვდა. თუ ადრე ამას უფრო ეგრეთწოდებული „აქტიური დასვენების“ დანიშნულება ჰქონდა, ახლა მან უნდა შეავსოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით გამოწვეული უმოძრაობა.

ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს სკოლამ, რომელიც ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის მთავარი რგოლია. სწორედ სკოლაში ეყრება საფუძველი ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სისტემატური მეცადინეობის ჩვევებს. დღეს კი სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი ისეთი ტრაფარეტული და ერთფეროვანი გახდა, თითქოს იგი გაანგარიშებული იყოს არა სხვადასხვა პირობებსა და სიტუაციაში მყოფი კონტინგენტისათვის, არამედ რაღაც „საშუალო“ მასისათვის. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გაზეთ „უჩიტელსკაია გაზეტას“ 1982 წლის 2 აპრილის მოწინავეს, სადაც ნათქვამია, რომ „გაიფურჩქნა ხელისქნევითი ტანვარჯიში“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **შემოვდივართ წინადადებით, ალიძრას საკითხი ზემდგომ სადირექტივო ორგანოებში, რათა ამ მიმართებით გადასინჯულ იქნეს მშთ კომპლექსი. შეიქმნას მისი „რამდენიმე ვარიანტი ქვეყნის რეგიონის (მთა, ბარი, ქალაქი, სოფელი) ეთნიკური, კლიმატურ-გეოგრაფიული და ხალხში დანერგილი სპორტული ტრადიციების გათვალისწინებით.**

უნდა გაიზარდოს მშთ კომპლექსის თეორიული ნაწილი. ახალგაზრდამ, რომელიც აბარებს კომპლექსის ნორმატივებს, უნდა იცოდეს მისი მნიშვნელობა და, საერთოდ, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების ძირითადი ეტაპები.

ვ. ელაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი.

თქვენი აზრი?

რეპლიკა

კიდევ რა სიურპრიზს უნდა ველოდოთ?

თბილისის განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის (დირექტორი ს. ბახტაძე) ახალი კომპლექსი წელიწადნახევრის წინათ შევიდა ექსპლუატაციაში. მაშინ აღფრთოვანებულები ვწერდით, რომ მოზარდებმა დიდებული საჩუქარი მიიღეს (ჭიდაობის, კრივისა და სადემონსტრაციო დარბაზები, ტირი, სასტუმრო), მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. მე-13 სამშენებლო ტრესტის მე-8 სამმართველოს მუშაკებს (სამუშაოთა მწარმოებელი გ. მაჭარაშვილი) ისე უხარისხოდ შეუსრულებიათ სამუშაოები, რომ კომპლექსი დღეისათვის ავარიულ მდგომარეობაშია და თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს.

როგორც კი სპორტსკოლამ სრული დატვირთვით დაიწყო მუშაობა, აღმოჩნდა, რომ კომპლექსში ბევრი რამ მოუწესრიგებელია: ჭერიდან წყალი ჩამოდის, კედლები ინგრევა (ერთმა ასეთმა შემთხვევამ კინაღამ იმსხვერპლა ბავშვი), გათბობის ქსელი არასწორადაა დაპროექტებული, თუნუქის რადიატორი სწრაფად გამოდის მწყობრიდან. ამ მიზეზებით, ბუნებრივია, ცდება მეცადინეობა, ირღვევა სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გრაფიკი, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ზამთრის პერიოდში.

სპორტსკოლის ხელმძღვანელობის დაჟინებული თხოვნით შეიქმნა დეფექტებისა და ხარვეზების შემსწავლელი კომისია, სადაც გაერთიანდნენ კომპეტენტური მუშაკები. კომისიამ დაადგინა, რომ მშენებლებმა ობიექტზე მთელი რიგი სამუშაოები უხარისხოდ შეასრულეს. სანტექმონტაჟის სამსახურს დაევალა დიდი სპორტული დარბაზის გათბობის ნაწილი გადაეყვანა მეორე ელევატორზე, მაგრამ მდგომარეობა ამის შემდეგაც არ შეცვლილა. მორიგმა კომისიამ დაადგინა, რომ საჭიროა მესამე ელევატორის დაყენება. პროექტი შეიქმნა, მაგრამ როდის განხორციელდება?

როგორც ზემოთ ითქვა, კომპლექსში შედის სასტუმრო კორპუსი, რომლის ყველა ნომერში არის საშხაპე, მაგრამ ყველა... გაუქმებულია. გვითხრეს, კედლების იზოლაცია არ ვარგა და წყალი ქვედა სართულებში ჟონავსო.

ახლახან, დიდი წვიმების შემდეგ სარდაფი, სადაც ტირია მოთავსებული, წყლით დაიტბორა და აუზს უფრო მოგაგონებთ. ერთი სიტყვით, სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო, თორემ შეიძლება კომპლექსმა ახალ-ახალი „სიურპრიზები“ შემოგვთავაზოს. ჩვენ კი აქ დავსვათ წერტილი, იმ იმედით, რომ ამ თემაზე მომავალში აღარ მოგვიწევს წერა.

მ. ფაჩუაშვილი.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

სპორტული ქალაქი ბავშვებს

ფერგანა. ახალ საცხოვრებელ მასივში ბავშვებისთვის სპორტული ქალაქი ააგეს № 1 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის მუშაკებმა. ნორჩ ფიზკულტურელებს აქვთ ტანვარჯიშული იარაღები, კალათბურთის ფარები, შვედური კედელი, მძლეოსნური ბილიკები.

პედაგოგ-ორგანიზატორის რაისა [illegible] ხელმძღვანელობით [illegible] უკვე მიიღეს მონაწილეობა „მხიარულ სტარტებში“, ჩააბარეს მშთ ნორმატივები სირბილში.

სპორტულ ქალაქში მუშაობენ ნორჩ მორბენალთა, ფეხბურთელთა, მოჭადრაკეთა, ტანმოვარჯიშეთა სექციები, რომლებშიც მეცადინეობას ატარებენ საზოგადოებრივი მწვრთნელები და ფერგანის უმაღლესი სასწავლებლების აქტივისტები. (საქდესი).



ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიეძღვნა

გასულ შაბათ-კვირას სპორტსაზოგადოება „განთიადის“ თბილისის საქალაქო საბჭოს ინიციატივით ბაზალეთის ტბის მიდამოებში მოეწყო ტურისტული ლაშქრობა, რომელიც ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიეძღვნა. ამ ღონისძიებაში დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებათა 30 ფიზკულტურული კოლექტივის 500-მდე მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა.

* * *

სურათზე: მშთ-ს ნორმატივების ჩაბარების შემდეგ ლაშქრობის მონაწილეებმა ფრენბურთშიც მოსინჯეს ძალა.

ზ. დევნოზაშვილის ფოტო.

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 45-ე საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის სტატისტიკური მონაცემები:

„პახტაკორი“ — „მეტალისტი“ 2:1 (1:0). ტაშკენტელთა კაპიტანმა იაკუბიკმა ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა (ერთი — პენალტით) და სათავეში ჩაუდგა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას. საპასუხო გოლი 11-მეტრიანით გაიტანა ხარკოველმა გორბიკმა.

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელები ტკაჩენკო და კრამარენკო.

დუბლიორები — 3:1.

„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მნ 1:0 (1:0). გოლი, რომელმაც მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა ლიდერთან შეხვედრაში, 42-ე წუთზე გაიტანა პოკონინმა.

დუბლიორები — 1:1.

„ქაირათი“ — „დნეპრი“ 1:0 (1:0). ბურთი ტაიმის ბოლო წუთზე გაიტანა გლადილინმა.

დუბლიორები — 0:1.

„არარატი“ — ცსკა 3:2 (1:2). ერევნელი ოჰანესიანის გოლის შემდეგ წინ გავიდნენ არმიელები (ჩესნოკოვი, ტარხანოვი), მაგრამ მეორე ტაიმში მელიქიანმა და ვ. გალუსტიანმა კვლავ დააწინაურეს „არარატი“.

დუბლიორები — 6:1.

„დინამო“ მ. — „შახტიორი“ 0:3 (0:2). დინამოელთა კარში ბურთები გაიტანეს სოკოლოვსკიმ (2) და იურჩენკომ.

მატჩს სჯიდა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადა: ა. მილჩენკო, ბ. ჩერნიახოვსკი (ორივე — სოხუმი), ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

დუბლიორები — 0:2.

ხაბაროვსკის არმიელთა გუნდისა და ლანჩხუთის „გურიის“ ამაწინანდელ შეხვედრაში, რომელიც მოიგეს ლანჩხუთელებმა — 2:1, პირველი გოლი გაიტანა კოპალეიშვილმა, [illegible] ბურთი.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ თბ	19	13	3	3	27—12	29
„დნეპრი“	21	12	5	4	43—26	29
„ზენიტი“	20	12	3	5	37—24	27
„დინ.“ კ.	18	13	0	5	28—14	26
„დინ.“ მნ.	20	9	8	3	35—23	26
„სპარტაკი“	19	11	2	6	40—25	24
„დინ.“ მ.	21	8	5	8	32—31	21
„ნეფთჩი“	20	8	4	8	31—34	20
ცსკა	21	8	4	9	31—35	20
„არარატი“	21	7	6	8	26—30	20
„შახტ.“	20	7	5	8	20—23	19
„ტორპ.“ მ.	20	6	6	8	18—21	18
„ტორპ.“ ქ.	20	6	5	9	19—25	17
„მეტალ.“	21	7	1	13	28—37	15
„ყუბანი“	19	5	4	10	20—28	14
„ჩერნომ.“	20	4	6	10	30—40	14
„ფახთაკ.“	21	5	2	14	25—39	12
„ქაირათი“	21	3	6	12	17—40	12

I ლიგა

17 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 27-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე მიიღო ლვოვის ასკ-„კარპატი“. ამ მატჩის შესახებ ჩვენმა ლანჩხუთელმა კორესპონდენტმა ა. ორმოცაძემ ტელეფონით გვაცნობა:

ლანჩხუთელებმა თავიანთ აქტივს კიდევ 2 ქულა მიუმატეს, თუმცა სტუმრებმა მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. გოლი, რომელმაც მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, ებანოიძემ გაიტანა მე-9 წუთზე. შემდგომში ლანჩხუთელებს არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ გაეზარდათ ანგარიში, მაგრამ ცვლილება ანგარიშში მატჩის ბოლომდე აღარ მომხდარა.

ლანჩხუთის „გურიამ“ ამ დღეს ასეთი შემადგენლობით ითამაშა: აბუსერიძე, რუხაძე, გოგოხია, ხურცილავა, ხომხიშვილი, ხანიკიძე, კოპალეიშვილი, ცხოვრებაშვილი, ჩხაიძე, ებანოიძე, ციპლე.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 3:0, „დინამო“ (კიროვი) — „სპარტაკი“ (კოსტრომა) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:4, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:1, „დაუგავა“ (რიგა) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:1, „ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 5:0, „პამირი“ (დუშანბე) — ასკ (კიევი) 2:2, „კოლოსი“ (ნიკოპოლი)— „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) —ასკ (ოდესა) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნისტრუ“	25	14	6	5	41—23	34
„კოლოსი“	25	13	7	5	37—18	33
„ჟალგ.“	26	13	7	6	37—19	33
„ლოკომ.“	26	12	9	5	37—21	33
„ფაკელი“	25	12	8	5	34—20	32
„პამირი“	25	12	7	6	35—27	31
ასკ-„კ.“	26	10	7	9	25—25	27
„დაუგავა“	26	9	9	8	32—30	27
„ისკრა“	25	8	10	7	28—31	26
„მეტალ.“	25	10	5	10	27—19	25
ასკ რ.	26	10	5	11	40—35	25
„ზარია“	26	10	5	11	39—34	25
„შინიკი“	26	9	7	10	31—39	25
„გურია“	26	11	2	13	30—37	24
ასკ ოდ.	26	8	8	10	27—26	24
„ტავრია“	26	10	3	13	36—34	23
„დინამო“	26	8	7	11	22—36	23
„როტ.“	25	7	9	9	35—37	23
„ზვეზდა“	26	8	5	13	31—50	21
ასკ ხ.	26	7	7	12	15—32	21
ასკ ქ.	26	4	8	14	20—40	16
„სპარტ.“	25	3	7	15	10—36	13

როსი! როსი!..

ესპანეთის XII მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიელმა ფეხბურთელმა პაოლო როსიმ მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა: იგი მსოფლიო ჩემპიონია, 6 გატანილი გოლით ფინალური ტურნირის საუკეთესო გოლეადორი გახდა, ჩემპიონატზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა ერთხმად აღიარეს საუკეთესო ფეხბურთელად. იტალიის 20-გზის ჩემპიონის „იუვენტუსის“ 25 წლის თავდამსხმელი საერთაშორისო ფეხბურთის ერთ-ერთ უპირველეს ფიგურად იქცა.

იტალიური ფეხბურთის ისტორიაში გახმაურებული დიდი სკანდალის უშუალო მონაწილე, სპორტული ინვენტარის ფირმა „ტონი როსი ლანსიერ სპორტის“ მეპატრონე 2 წლით ჩამოაშორეს ფეხბურთს, მაგრამ მას უქმად არ დაუკარგავს დრო, ინტენსიურად ვარჯიშობდა და როცა ნაკრებში დააბრუნეს, სხვებზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა.

დაახლოებით 7 წლის წინ როსიმ მენისკის ოპერაცია გადაიტანა, ერთხანს ვერ იყო ფორმაში, რის გამოც კლუბის ხელმძღვანელობამ იგი დროებით დაუთმო ჯერ „კომოს“, მერე — „ვიჩენცას“, შემდეგ კი „პერუჯას“. პ. როსი ძალზე შედეგიანად თამაშობდა და მის უკან დასაბრუნებლად „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობას დამატებითი თანხის გადახდაც კი მოუხდა.

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ე. ბეარზოტმა მაშინ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „როსი თანამედროვე სტილის ფეხბურთელია, მინდვრის სიღრმიდან იწყებს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, გოლებიც ხშირად გააქვს, ამიტომ ჩვენი ნაკრები უმისოდ წარმოუდგენელიცაა.“

განვლილი ჩემპიონატის პირველ წრეში პ. როსიმ მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი, მწვრთნელის იმედები თითქოს ფუჭი იყო, მაგრამ ფეხბურთელს არ დაუყრია ფარ-ხმალი, გადამწყვეტი მატჩები ბრწყინვალედ ჩაატარა და ნამდვილი სასწაული მოახდინა. პოლონეთის, კამერუნისა და პერუს გუნდებთან უშედეგო თამაშის შემდეგ პ. როსიმ ბრაზილიელებთან 4 ხელსაყრელი მომენტიდან 3 გოლით დაამთავრა, პოლონელებთან 3 შესაძლებლიდან 2 გამოიყენა და ფინალშიც გამოიჩინა თავი.

ტურინის ქუჩებში ათიათასობით გულშემატკივარი ზეიმობდა იტალიელთა გამარჯვებას, ისინი დროშებით, ტრანსპარანტებით დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ: „როსი! როსი!“.

მ. რადიანი.

* * *

სურათზე: ეს-ესაა როსიმ პირველი ბურთი გაიტანა გფრ-ის ნაკრების კარში...

ზიკოს 501-ე გოლი

ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო დიდი შედეგიანობით გამოირჩევა ბრაზილიის ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში. „ფლამენგო“ — „მადურეირას“ მატჩში, რომელიც „ფლამენგომ“ მოიგო ანგარიშით 8:0, ზიკომ 3 გოლი გაიტანა.

ბრაზილიელმა სტატისტიკოსებმა აღნიშნეს, რომ ზიკომ, რომელიც 10 წელია პროფესიულ ფეხბურთში გამოდის, ამ ხნის მანძილზე გაიტანა 501 გოლი.

43 წელი ერთ კლუბში!

ინგლისის „ლივერპულის“ წარმატებებს სამართლიანად მიაწერენ კლუბის მწვრთნელს, ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტს ბობი პეისლის.

ბ. პეისლი 1974 წლიდან გუნდის მენეჯერია, სულ კი „ლივერპულში“ მან დაჰყო 43 წელი. იგი აქ თამაშობდა ფეხბურთს, შემდეგ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა და ბოლოს მწვრთნელი გახდა.

ასეთი ხანგრძლივი კარიერა ერთ კლუბში სარეკორდო მაჩვენებელია საერთაშორისო ფეხბურთში.

„ვისაც ფეხბურთი ეჯავრება“

ბრაზილიის ქ. სან პაულოში ერთმა კაცმა თავის სახლთან ასეთი განცხადება გამოაკრა: ამ სახლის პატრონს ფეხბურთი ძალიან ეჯავრება. ყველა, ვინც კი ამ აზრს იზიარებს, მისთვის ძვირფასი სტუმარია“.

როგორც გაზეთი „ესტადუ დე სან-პაულუ“ წერს, მეზობლები ამ კაცს კეთროვანივით გაურბიან. მას გადასახადების ამკრეფებიც კი არ აწუხებენ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ყველა ფინალისტი ცნობილია

კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც კოლუმბიაში მიმდინარეობს, უკვე დამთავრდა წინასწარი შეხვედრები და გაირკვა ექვსივე ფინალისტის ვინაობა: ესპანეთი, აშშ, სსრ კავშირი, ავსტრალია, იუგოსლავია, კანადა. ამ ექვსეულს დაემატება მასპინძელთა ნაკრები და 19 აგვისტოდან ქალაქ კალიში წრიული სისტემით განახლდება ბრძოლა ჩემპიონატის მედლებისთვის.

დიდი საკალათბურთო „კონცერტის“ მოწმენი გახდნენ მედელინის სპორტის სასახლეში შეკრებილი გულშემატკივრები, რომლებიც სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრას დაესწრნენ. ეს იყო წინასწარი ტურნირის ბოლო მატჩი. მართალია, ამ შეხვედრას პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა (საბჭოთა კალათბურთელებს უკვე განაღდებული ჰქონდათ ფინალის საგზური, ბრაზილიელებმა კი საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსი ფაქტიურად დაკარგეს), მაგრამ ორივე ნაკრებმა მაღალი ოსტატობა გამოავლინა. ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — 99:92 (51:53).

მაყურებელმა ნახა ყველაფერი, რითაც მდიდარია თანამედროვე კალათბურთი: ზუსტი ტყორცნები სხვადასხვა დისტანციიდან, მრავალფეროვანი ტაქტიკა, შეტევა და კონტრშეტევა. ტაში დაიმსახურეს გამარჯვებულებმაც და დამარცხებულებმაც. საბჭოთა ნაკრებში ყველაზე შედეგიანნი იყვნენ ლოპატოვი (23 ქულა) და მიშკინი (18).

ამ შეხვედრამდე ერთი საათით ადრე ავსტრალიელებმა დაამარცხეს სპილოს ძვლის ნაპირის გუნდი — 80:59.

სიურპრიზით აღინიშნა ესპანეთისა და აშშ-ს გუნდების მატჩი. ევროპელებმა შესაშური მონდომებით ჩაატარეს ეს შეხვედრა და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს — 109:99.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: პანამა — ჩინეთი — 121:92, ჩეხოსლოვაკია — ურუგვაი — 111:84, იუგოსლავია — კანადა — 88:79.

წინასწარი ტურნირის შემდეგ გუნდები ქვეჯგუფებში ასე განლაგდნენ:

„ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ესპანეთი	3	3	0	6
აშშ	3	2	1	5
პანამა	3	1	2	4
ჩინეთი	3	0	3	3

„ბ“ ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
სსრკ	3	3	0	6
ავსტრალია	3	2	1	5
ბრაზილია	3	1	2	4
სპილოს ძვლის ნაპირი	3	0	3	3

„ც“ ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
იუგოსლავია	3	3	0	6
კანადა	3	2	1	5
ჩეხოსლოვაკია	3	1	2	4
ურუგვაი	3	0	3	3

საკალათბურთო თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადგილობრივ გაზეთებში. რეკლამამ, რომელიც ჩვეულებრივ დომინირებს კოლუმბიის პრესის ფურცლებზე, სპორტს დაუთმო ადგილი.

წინასწარი შეხვედრების მიმოხილვისას გაზეთმა „ტემპომ“ აღნიშნა: „ხანდახან მხოლოდ საბჭოთა ნაკრები აჩვენებდა იმას, რისი შესაძლებლობაც აქვს“. ამერიკელთა მწვრთნელმა ბობ ულტიჩმა განაცხადა, რომ მის გუნდს ჯერ არ გაუხსნია „კარტი“, თუმცა რეპორტიორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამერიკელებს ფინალში გასასვლელად ძალების მაქსიმალური მობილიზება დასჭირდათ.

ნ. უშმაევის „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

ლუჩენეცი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში მიმდინარე პარაშუტისტთა მსოფლიო ჩემპიონატში 2 ათასი მეტრიდან ხტომაში (აკრობატული ფიგურების შესრულებით) უმაღლესი ტიტული მოიპოვა შ. ფერნანდესმა (აშშ).

დაშვების სიზუსტეზე ჯგუფურ ხტომებში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ბულგარეთის გუნდი. საბჭოთა ქალები VI ადგილზე გავიდნენ. ვაჟთა შორის პირველობა არავის დაუთმეს საფრანგეთის სპორტსმენებმა. საბჭოთა პარაშუტისტები IX ადგილს დასჯერდნენ.

აკრობატული და დაშვების სიზუსტეზე ნახტომების ჯამში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ლვოველი ლარისა კორიჩევა.

პარაშუტისტმა ქალებმა დაამთავრეს შეჯიბრება. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი სამი ადგილი დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირისა და გდრ-ის სპორტსმენებმა.

გდრ-ის სპორტსმენ ვაჟებს წარმატება მოუტანა ჩემპიონატის ფინიშმა. აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა 28 წლის ბ. ვიეზნერმა.

თბილისელი ნ. უშმაევი მეორე იყო დაშვების სიზუსტეზე ხტომაში, ხოლო მესამე — აბსოლუტურ ჩათვლაში.

საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა გდრ-ის ნაკრებმა, რომელსაც ქულათა მინიმალური რაოდენობა აქვს — 26. საფრანგეთისა და სსრ კავშირის გუნდები 86-86 ქულით შესაბამისად II-III ადგილებზე არიან (საფრანგეთის პარაშუტისტებს უპირატესობა ჰქონდათ ერთ-ერთ ვარჯიშში).

(საკდესი).

მეგობრის ხსოვნას



ბორის, ჩვენო ბორის კახიანო, კაცი იყავი, ქართველი ახალგაზრდების სამაგალითო ვაჟკაცი. რაც შენ გააკეთე სვანეთისთვის, ბარე ცხრას ეყოფოდა საამაყოდ.

მესტიის რაიონში პირველად რომ ავედით, ხალხმა გვითხრა: თუ რაიმეს დაწერას აპირებთ ჩვენს რაიონზე, უპირველეს ყოვლისა ბორია კახიანზე უნდა მოუთხროთ მკითხველსო...

„სპორტის ოსტატი ბორის კახიანი სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი იყო ჭაბუკთა გიგანტურ სლალომში. სსრ კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონატში „ოქრო“ მოიპოვა. პროფკავშირების საკავშირო შეჯიბრებაში III ადგილი დაიკავა, ამჯერად ვაჟებში. მაგრამ ბორის კახიანს, როგორც სპორტსმენს, ბედი არ წყალობდა. რვა წელიწადს გამოდიოდა სარბიელზე და აქედან სამჯერ მოიტეხა ფეხი. ამიტომაც გამოემშვიდობა თხილამურებს.

როცა საშუალო სკოლა დაამთავრა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მესტიის სატყეო მეურნეობის მეტყევე მექანიკოსად. არჩეული იყო კომკავშირის მესტიის რაიონული კომიტეტის მეორე მდივნად. მერე მოსკოვში საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს კომკავშირულ სკოლას ამთავრებს. 1973 წლიდან კომკავშირის მესტიის რაიკომის პირველი მდივანია.

1974 წელს მოსკოვში საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატი იყო.

მიღებული აქვს მედალი „შრომითი მამაცობისთვის“.

ეს ჯილდო 1975 წელს დაიმსახურა მესტიის რაიონში სატელევიზიო ანძის მშენებლობისთვის.

მშენებლობა ძნელი იყო, ძალიან ძნელი. რაიონის კომკავშირელებთან და სხვებთან ერთად მუშაობდი ქარში და ავდარში, სიცხეში და ყინვაში, თოვლსა და წვიმაში... ასე გაიყვანეთ 15 კილომეტრამდე სიგრძის გზა სოფელ იფრალიდან ხალდემდე. მერე ჩხუტუნეთის მთაზე, 3200 მეტრის სიმაღლეზე სატელევიზიო ანძა აღმართეთ. და პირველად აციმციმდა ტელეეკრანი მესტიის რაიონში...

სოფელ ხალდემდე სამანქანო გზის გაყვანას სხვა დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა — ხალდეს მთის მიდამოები მდიდარი და ბარაქიანი სათიბებითაა სახელგანთქმული. გზის გაყვანით კი 17 ათასამდე ჰექტარი გახდა მთიბავებისთვის ხელმისაწვდომი.

მერე იყო და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის აღდგენით სამუშაოებზე მუშახელი რომ შემოაკლდათ, შენს თანასოფლელებს — მულახელ კომკავშირელებს სათავეში ჩაუდექი, დარაზმე, თბილისში ჩამოიყვანე და მშენებლებს მიაშველე.

ყოველივე ამაზე ვწერდით. ვწერდით მესტიის კომკავშირელთა სანაქებო საქმიანობაზე, როცა შენს მშობლიურ მულახში ცნობილი მთამსვლელის — ილია გაბლიანის სახელობის სპორტული კომპლექსი აშენდა საზოგადოებრივ საწყისებზე, როცა ასევე უსასყიდლოდ ააგეთ „კლდის ვეფხვად“ წოდებული მიხეილ ხერგიანის სახელობის ახალგაზრდული კლუბი „ბეთქილი“.

ამას მოჰყვა გურამ თიკანაძის, მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდული კლუბები, სვანური კოშკი კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში... ამ მშენებლობების სულისჩამდგმელი და ინიციატორი შენ იყავი, ბორის კახიანო. შენს დაკოჟრილ ხელებს რომ მუშის მარჯვენისაგან ვერ ვარჩევდით.

მოუსვენარი კაცი იყავი, მოუსვენარი და მეოცნებე. ოღონდაც, ოცნებას მუდამ საქმე მოჰყვებოდა, ერთ ინიციატივას მეორე მოსდევდა, მეორეს კიდევ მესამე და ასე, დაგორებულ თოვლის გუნდასავით იზრდებოდა შენი საქმე. სულ უფრო და უფრო მეტ თანამზრახველს იკრებდი გარშემო.

საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. პასტუხოვმა თქვა:

„საქართველოში მთიანი სვანეთის მესტიის რაიონში ნორჩებიც და ღრმად მოხუცებულებიც კარგად იცნობენ ბორის კახიანს. უმაღლესი კომკავშირული სკოლის კურსდამთავრებული უკვე რამდენიმე წელია, რაც რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას თავკაცობს. ბორისი — ფაქიზი სულისა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის ადამიანი, ახალგაზრდების მიმართ დამოკიდებულებაში სამაგალითოა. კახიანის — პარტიის რაიკომის ბიუროსა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს წევრის სამუშაო დღე უკიდურესობამდე დატვირთულია. მაგრამ ყოველივე ამაში მთავარი ის გახლავთ, რომ ორგანიზატორული ნიჭით მადლფენილია, რომ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი აქვს, რომელსაც ძალა შესწევს ისინი ფეხზე დააყენოს დიდი საქმეების შესასრულებლად“.

დიდი საქმეების შესრულებისთვის ბორის კახიანის მედალს — „შრომითი მამაცობისთვის“, დაემატა საპატიო ნიშნის ორდენი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, სხვა ჯილდოები. მოუღლელი შრომისთვის დააწინაურეს პარტიის მესტიის რაიკომის მეორე მდივნად. სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა მესტიის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ, მაგრამ აღარ დაცალდა, ბევრი ოცნება დარჩა აუსრულებელი...

ვინ იცის რაზე ოცნებობდი ჯვარი-მესტიის გზაზე მიმავალი, როცა ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპე. დაიღუპე იმ გზაზე, რომლის მშენებლობაზეც მკლავებდაკაპიწებული მუშაობდი.

....ბორის, ჩვენო ბორის კახიანო, შენზე ბევრჯერ დაგვიწერია „ლელოში“. კიდევ ერთხელ ვწერთ, მაგრამ ვაი, რომ ამ წერილს ვეღარასოდეს წაიკითხავ.

ასეთი შემართებით ასპარეზობდა ბ. კახიანი თოვლიან ბილიკებზე.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 33-ე ტირაჟებისა, რომლებიც 14 აგვისტოს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 49“-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (23 ბარათი) მოგება 1164 მანეთია, ოთხისთვის (933 ბარათი) — 42, სამისთვის (16377 ბარათი) — 4.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (10 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1390 ბარათი)— 154, სამისთვის (55803 ბარათი) — 7.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 25 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

პროფესიული სპორტის სამყაროში

ტურაუს ბოლო წრე

ხუთი წლის წინათ მას იღბლიანი სეზონი ჰქონდა. მაშინ პროფესიონალ ველომრბოლელს დიტრიხ ტურაუს (გფრ) ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს დიდისაც კი ადარებდნენ. პროფესიონალთა ყველაზე ხანგრძლივ, მრავალდღიან ველორბოლა ტურ დე ფრანსში მან 5 ეტაპი მოიგო. 15 დღის განმავლობაში დიტრიხი ლიდერის ყვითელი მაისურით გამოდიოდა. რბოლის დამთავრების შემდეგ ეტაპებზე ნაჩვენები დროის ჯამით იგი მეხუთე იყო და პარიზში ყველაზე აქტიური მრბოლელის თეთრი მაისურით გაემგზავრა. ინგლისური ფირმის სავაჭრო ბრუნვა, რომლის საქონელსაც იგი რეკლამას უკეთებდა გფრ-ში, 15 პროცენტით გაიზარდა.

მისი სახელი ყველაზე პოპულარული იყო 500 ავტომანქანისგან შემდგარ სარეკლამო კოლონაში, რომელიც ველოსიპედისტთა ქარავანის გამოჩენამდე რბოლის ტრასაზე მიდიოდა.

იმისათვის, რომ არ დაგივიწყონ, ახალი გამარჯვებებია საჭირო. მათი მოპოვება კი შეიძლება მხოლოდ ალპების, ან პირენეის მკვეთრ ვირაჟებზე, რბოლებში, რომლებსაც მუდამ თან ახლავს ხმაურიანი რეკლამა. მაინის ფრანკფურტის „მამებმა“, დარწმუნებულებმა იმაში, რომ თავიანთი თანამემამულის დიტრიხ ტურაუს წყალობით ბევრ ფულს იშოვიდნენ, 1980 წელს მოახერხეს თავიანთ ქალაქში სტარტი მიეცათ მრავალდღიანი ველორბოლისთვის. ამ განზრახვის განხორციელება მათ მეოთხედი მილიონი მარკა დაუჯდათ. როგორც საბოლოოდ გაირკვა, ეს იყო ფულის ფუჭი ფანტვა.

ახლახან, ჯირო დ' იტალიაში მან კიდევ ერთხელ უიმედოდ სცადა ბედი — საათ-ნახევრით ჩამორჩა გამარჯვებულს. დამქირავებელმა მაშინვე დაითხოვა იგი.

რა თქმა უნდა, ყოფილი ვარსკვლავი ერთხანს არ იშიმშილებს. მაგრამ საკმაოდ მწარე იქნება ველომრბოლელის ბოლო წრე — მას ფინიში ხომ შრომის ბირჟაზე ექნება.

რედაქტორი ა. ბასილაია

„განთიადის“
რესპუბლიკური
საგზო
21-22 აგვისტოს
კიკეთის მიდამოებში
აწყობს
სსრ კავშირის შექმნის
60 წლისთავისადმი მიძღვნილ
ტურისტულ შეკრებას

პროგრამაშია შეჯიბრებები ტურისტულ მრავალჭიდში და მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

შეკრება საზეიმოდ გაიხსნება 22 აგვისტოს 9 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრების — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 ИНДЕКС 66435 08419